

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**  
**კანონი**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო**  
**პალატის შესახებ**

ეს კანონი ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, პრინციპებს და მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას.

**თავი I. ზოგადი დებულებანი**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის სტატუსი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა (შემდგომში სავაჭრო-სამრეწველო პალატა) არის კორპორაციულად ორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური და იურიდიული პირები სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ერთიანდებიან ნებაყოფლობით, იურიდიული მისამართის მიხედვით საწევრო საწყისებზე. ისინი წარმოადგენენ სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებს, რომლებიც იმავდროულად არიან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრები.
3. სახელწოდების “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა” გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანხმობით.
4. სავაჭრო-სამრეწველო პალატა თავის საქმიანობას წარმართავს “საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ”, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონებისა და ამ კანონის საფუძველზე. სავაჭრო-სამრეწველო პალატა განთავსებულია ქ. ბათუმში.
5. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს “საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.
6. ამ კანონის მიღების საფუძველია საქართველოს კანონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ მე-10 მუხლის პუნქტი 2.

მუხლი 2. სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის პრინციპები

1. სავაჭრო-სამრეწველო პალატა ამ კანონითა და პალატის წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და საქართველოს და აჭარის კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სავაჭრო-სამრეწველო პალატას აქვს საკუთარი ქონება და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის თავისი სახელით. სავაჭრო-სამრეწველო პალატა და მისი წევრები პასუხს არ აგებენ ერთმანეთის ვალდებულებებზე.
3. სავაჭრო-სამრეწველო პალატას დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის შენობა-ნაგებობანი და სხვა სახის უძრავ-მოძრავი ქონება, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით ქონების გადაცემისათვის დადგენილი ნებისმიერი ფორმით გარდა საკუთრების უფლებისა.

### მუხლი 3. სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიზნები და ფუნქციები

#### 1. სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიზნებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებს შორის სავაჭრო, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების დამყარებისა და განვითარების ხელშეწყობა;

#### 2. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფუნქციებია:

ა) მეწარმეებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

ბ) მეწარმეთა პროფესიული განათლების ღონისა და კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე სხვა სახის სწავლების, მათ შორის საზღვარგარეთ, ღონისძიებების ორგანიზება;

გ) სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის, საზღვარგარეთ, მეწარმეთა საერთო და ინდივიდუალური ინტერესების წარმოდგენა და დაცვა;

დ) ადგილობრივი საქონლის ექსპორტის ხელშეწყობა;

ე) გამოგონებების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების, საფირმო სახელწოდებებისა და მომსახურების დასახელებების დაპატენტებასთან დაკავშირებული ლოკუმენტაციის მომზადების ხელშეწყობა;

ვ) ადგილობრივი და საზღვარგარეთული საქონლის გამოფენების, საქმიანი წრეების შეხვედრების და სხვა ღონისძიებების გამართვა;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობი ღონისძიებების გახორციელება;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენციისა და მონოპოლური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთის ღონისძიებების ხელშეწყობა;

ი) მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება;

კ) საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას მათთვის საჭირო მომსახურების გაწევა მისი უფლებამოსილების ფარგლებში;

ლ) წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების შესახებ საინფორმაციო ბანკის ფორმირება;

მ) მეწარმეთა ხელშეწყობა ბიზნეს-გეგმების მომზადებაში;

ნ) მეწარმეთა ხელშეწყობა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაში;

ო) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმა-ტიული აქტებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული სხვა ამოცანების განხორციელება.

#### 3. სავაჭრო-სამრეწველო პალატა ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე ახორციელებს:

ა) საექსპორტო და იმპორტირებული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის დამოწმებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტაციის გავლის შემდეგ ადგილობრივი და უცხოური საქონლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ექსპერტიზას და შეფასებას;

გ) საქართველოში მოქმედი სავაჭრო, საბაზო და სანავსადგურო წესების შესახებ ინფორმაციის დამოწმებას;

დ) ფორს-მაჟორისა და საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების დამოწმებას.

#### 4. სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი საფასური უნდა იყოს არაღისკრიმინაციული და ხარჯებზე ორიენტირებული.

### მუხლი 4. სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფლებები

#### 1. სავაჭრო-სამრეწველო პალატას უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური და სხვა სახის საკითხების შესახებ კანონპროექტების შემუშავებასა და განხილვაში, განახორციელოს ეკონომიკის სფეროში მომზადებული ნორმატიული

აქტების პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტიზა და განსახილველად წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს;

ბ) ამ კანონითა და პალატის წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებისას გაწეული მომსახურებისათვის სახელშეკრულებო საფუძველზე დააწესოს საფასური;

გ) ააშენოს, შეიძინოს და საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით ქონების გადაცემისათვის დადგენილი ნებისმიერი ფორმით მიიღოს პალატის საქმიანობისათვის საჭირო მოძრავი და უძრავი ქონება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

დ) დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადოს გარიგებები და დააფუძნოს კერძო სამართლის სუბიექტები;

ე) წარმოადგინოს ადგილობრივ მეწარმეთა ინტერესები საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებში, ითანამშრომლოს მათთან და გახდეს მათი წევრი.

## მუხლი 5. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფინანსები

სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფინანსები შედგება:

ა) საწევრო შენატანებისაგან;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობებისაგან;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებისაგან.

## თავი II. სავაჭრო-სამრეწველო პალატის შექმნის წესი

### მუხლი 6. სავაჭრო-სამრეწველო პალატის შექმნის წესი

1. სავაჭრო-სამრეწველო პალატა ფუძნდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირების საინიციატივო ჯგუფის წინადადებით, რომელშიც გაერთიანებული უნდა იყოს არანაკლებ 100 წევრი;

2. საინიციატივო ჯგუფი ატარებს კრებას და მის ოქმს 10 დღის ვადაში წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

3. საინიციატივო ჯგუფის კრებას ესწრება და მის ოქმს აწარმოებს ნოგარიუსი;

4. საინიციატივო ჯგუფის კრების ოქმის მიღებიდან 1 თვის ვადაში, საინიციატივო ჯგუფის განცხადების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღებულობს დადგენილებას სავაჭრო-სამრეწველო პალატის შექმნის შესახებ;

5. სავაჭრო-სამრეწველო პალატის შექმნის შესახებ დადგენილების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში სავაჭრო-სამრეწველო პალატაში უნდა გაერთიანდეს არანაკლებ 100 წევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება მისი ლიკვიდაციის საკითხი;

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერიგორიაზე შეიძლება ფუნქციონირებდეს მხოლოდ ერთი სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

### მუხლი 7. სავაჭრო-სამრეწველო პალატის მართვა

1. სავაჭრო-სამრეწველო პალატას მართავს:

ა) საერთო კრება;

ბ) პრეზიდენტი.

2. სავაჭრო-სამრეწველო პალატის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.

3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა ნახევარზე მეტი. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კრებაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. სავაჭრო-სამრეწველო პალატის უმაღლესი თანამდებობის პირია პალატის პრეზიდენტი, რომელსაც სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებით დადგენილი წესით დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს საერთო კრება.

5. სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის არყოფნისას მის უფლებამოსილებებს ახორციელებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.

6. ვიცე-პრეზიდენტებს ნიშნავს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთო კრება პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ვიცე-პრეზიდენტები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ იმ სფეროში, რომელიც განსაზღვრულია პალატის წესდებით.

7. სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიმდინარე საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი.

8. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანოებისა და ხელმძღვანელი პირების არჩევის (დანიშვნის), საქმიანობის მიმართულებები და კომპეტენციის საკითხები განისაზღვრება ამ კანონითა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებით, რომელიც მიიღება საერთო კრების მიერ.

### **თავი III. სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი**

მუხლი 8. სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **თავი IV. სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის შეწყვეტა**

მუხლი 9. სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის შეწყვეტა

სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის შეწყვეტა (რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია) ხდება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობითა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებით დადგენილი წესით.

### **თავი V. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

მუხლი 10. გარდამავალი დებულება

ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში ჩამოყალიბდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე

*ლევან გარშალომიძე*

ბათუმი,  
2005 წლის 1 დეკემბერი  
N 51 – უ.ს.შ.ს.